# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 12 იანვარი № 1352

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შაბათს, 13 იანვარს, 10 საათზე,

**ილია ლუკას-ძის ზახტაძის**

(ილია ხონელი)

გადაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების დღეს ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მამა, დედა, დანი და ძმანი მიცვალებულისა ატყობინებენ მეგობართ, ნათესავთ, ნაცნობთ და მისი ნიჭის პატივის მცემელთ. 2—2

## „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“

ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ ტფილისის მცხოვრებთათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის დროს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომწერთათვის 5 მანეთი. შემდეგ აპრილის 1-ლს 3 მ. და ენკენისთვის 1-ლს 2 მანეთი.

**„ცნობის ფურცელი“** ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წელიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

### იყიდება

ძველი წიფლის და რცხილის მსხვილი შეშა

**თავ. ი. პ. ნაკაშიძისა**

ბოლნისის მამულიდან,—საქონლით და ვაგონებით: ტფილისში, გ. ი. სერებრიაკოვის ქ-ტყის საწყობში, საბაღოსნო სკოლის პირდაპირ. (ნ. 6—2)

გამოვიდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**საქართველოს ისტორია**

აკადემიკოსის ბროსსესი, ფასი 70 კაპ. შემუშავებული ს. დოდობერიძისა, გამოცემული ნ. დოდობერიძის მიერ.

იქვე იყიდება იმავე თხზულების პირველი ნაწილი, ფასი 70 კაპ. (5—5)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ეკადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვების და წამლობა ელექტრონით—9 10 ს.

ნ. ა მელინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, განისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.

მ. ბ. ბუზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

## მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას: მე-77 თენგინის ქვეითა პოლკის კაპიტანს მაისურაძეს ებოძა პოდპოლკოვნიკობა და დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან პენსიით და მუნდირით.

## ინგლისის დედოფალი ვიქტორია

ახლად გარდაცვალებულის ინგლისის დედოფლის ცხოვრება მოწამეა ინგლისის ისტორიის უდიდესის და უმნიშვნელოვანესის ხანისა. ეხლანდელი ინგლისი თითქმის ამ დედოფლის თვალწინ შეიქნა ის, რაც ეხლა არის: გარეთ-მბრძანებელი და მპყრობელი ნახევარ მსოფლიოსი, შინ—საუცხოვო, მეტად მტკიცე და თავისუფალ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ჰშურს ყოველ სახელმწიფოს, მაგრამ აქამდე ვერ მოუხერხებიათ მისი განხორციელება. რასაკვირველია, ინგლისის წარსულსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ეხლანდელ ინგლისის შექმნაში, მაგრამ უმთავრესად მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა იგი და ამ საუკუნეში კი თითქმის სულ ვიქტორია მეფობდა. ყოვლად შეუძლებელია, საგაზეთო წერილში ჩამოითვალოს ყველაფერი, რაც მის მეფობაში მომხდარა როგორც ინგლისის შინაურ ცხოვრებაში, ისე გარეშე პოლიტიკაშიაც. ამიტომ ჩვენ აქ აღვნიშნავთ უმთავრეს მიმართულებას ორივე პოლიტიკისას.

საფრანგეთის რევოლიუციით დაშინებული ინგლისის უმაღლესი საზოგადოება, რომლის ხელშიაც იყო მთელი ქვეყნის სვებედი, ამ საუკუნის მეოცდა ათე წლებში ცოტათი გონს მოვიდა და იძულებული შეიქნა ყური ეგდო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრების მოთხოვნილებათათვის: საარჩევანო რეფორმა, მუშების უკიდურესი მდგომარეობა და ირლანდიელების საქმე, აი ეს იყო უმთავრესი საჭირბოროტო და თავსატეხი კითხვები, რომელთა თანდათანი გამორკვევა და ასე თუ ისე ახსნა შეადგენს ინგლისის შინაურ ცხოვრების ისტორიას მეცხრამეტე საუკუნეში და მაშასადამე ვიქტორიას დედოფლობისაც. ქვეყნის დემოკრატიული ელემენტები ინგლისურის სიმტკიცით და მხნეობით თხოულობდნენ მთავრობისაგან ამ კითხვების დემოკრატიულად გადაწყვეტას. მთავრობა, როდესაც შეეძლო, ეწინააღმდეგებოდა ამ მიმართულებას და როდესაც არა, ნაწილ-ნაწილ აკმაყოფილებდა ხალხის პროგრესიულ ელემენტების მოთხოვნილებებს. ინგლისი მფარველობითი სისტემის სახელმწიფო იყო, ეხლა იგი თავისუფალ ვაჭრობის ქვეყანაა. არსად მუშათა ექსპლოატაცია ისეთი უკიდურესი არ ყოფილა, როგორც ინგლისში; ეხლა კი ინგლისელ მუშების მდგომარეობა შეიქნა საშურველი სხვა ქვეყნების მუშებისათვის: ეგრედ წოდებული მუშათა კანონები ინგლისში მისაბაძავი შეიქნა სხვა ქვეყნების მთავრობათათვის. საარჩევნო უფლება პრივილეგიიდან მართლა უფლება შეიქნა და ეხლა ინგლისში თითქმის საყოველთაო საარჩევნო უფლება მოქმედობს: ინგლისის პარლამენტში ეხლა ხალხის ნამდვილი წარმომადგენლებიც სხედან.

პარლამენტარიზმი განმტკიცდა ინგლისში და ახალი მეფე, თუნდ იგი ვილჰელმ მეორის, გერმანიის იმპერატორის, შეხედულების და მიდრეკილების იყოს, ვერას იზამს. იგი იძულებული იქნება ქედი მოიხაროს ყოვლის შემძლე პარლამენტის წინაშე.

ირლანდიელების მდგომარეობაც შესამჩნევად გაუმჯობესდა: მართალია, ჯერ მათ ავტონომია არა აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ აგრარულ რეფორმების წყალობით ეკონომიური მდგომარეობა ირლანდიისა არ წარ-

## ფელეტონი

### შ ა ჰ-ა ბ ა ზ ი

შაჰ-აბაზის უმთავრესი მომხრე, რომლის შემწეობითაც ის გაყაენდა და რომელიც მხნედ და მარჯვედ ებრძოდა სპარსეთის მტრებს უზბეკებს, იყო მურშუდ-ყული-ხანი. ამ მამაცს და ჭკვიანს სარდალს დიდი გავლენა ჰქონდა ჯარზე თავის პირადის ღირსებების გამო. შაჰ-აბაზის შურიანმა და ეჭვიანმა ბუნებამ ვერ დაუთმო მას ასეთი გავლენიანობა და ამიტომ თავის გამეფების მეორე წელს (1586 წ.) მოაკვლევინა იგი იმ დროს, როდესაც ის ძლევა-მოსილი ეომებოდა უზბეკებს.

ამის შემდეგ შაჰ-აბაზი თვითონ შეუდგა უზბეკებთან ბრძოლას და შინაურის მყუდროების დამკვიდრებას. ამ საქმეებში იყო შაჰ-აბაზი გართული, რომ უცებ 1591 წ. ყველაფერზე ხელი აიღო და ჩავარდა საგონებელში, რომელიც გამოიწვია ვარსკვლავთმრიცხველთა შემდეგმა წინასწარმეტყველებამ: დიდი უბედურება შეემთხვევა ამ ცოტა ხანში სპარსეთის ხელმწიფესაო. ცრუ-მორწმუნე შაჰ-აბაზი ჰფიქრობდა, თუ რანაირად აეცდინა თავიდან ეს საშინელი ბედისწერა. მისმა ცბიერმა გონებამ შემდეგი ხერხი გამოიგონა: უარი სთქვა ტახტზე და გააყაენა ერთი ვიღაც ურწმუნო (ქრისტიანი). საცოდავი „ურწმუნო“ ყაენად იჯდა სამის დღის განმავლობაში, გარშემორტყმული ყოვლის ბრწყინვალებით, რაც კი ყეენს შეეფერებოდა. სამის დღის შემდეგ შაჰ-აბაზმა მოჰკლა ეს უბედური და თვით გაყაენდა ხელ-ახლად. ამნაირად შაჰ-აბაზმა აიცდინა თავისთავიდან ბედის-წერა და იგი გაამართლა საცოდავს „ურწმუნო“-ზე.

შაჰ-აბაზის უფროსი შვილი სეფი ძალიან უყვარდა ხალხს და კარის-კაცებს, რომელნიც მას დიდის მოწიწებით შესცქეროდნენ. შაჰ-აბაზს შეშურდა შვილისათვის ასეთი პატივისცემა, შეიძულა იგი და მისთვის უსიამოვნების მისაყენებლად მოაკვლევინა მისი საყვარელი მეგობარი. როდესაც გაიგო, რომ შვილი ძალიან სწუხდა მეგობრის მოკვლას, იფიქრა, მე გადამიხდის სამაგიეროსო და ამიტომ გარდასწყვიტა თვით იგიც მოეკლა. შაჰ-აბაზმა ამ წინადადებით მიჰმართა გამოჩენილს მოხუცებულს სარდალს ყარჩიხანს. ყარჩიხანი დაუვარდა ყაენს ფეხებში და სთხოვა—თვითონ ის მოეკლა, რადგანაც ყაენის შვილზე სასიკვდილოდ ხელის აღებას ის არჩევდა თავისს სიკვდილს. ყაენმა გაანთავისუფლა ყარჩიხანი ამ მინდობილობისაგან, ხოლო შვილის მკვლელად გამოძებნა ვინმე ბებუთაშვილი (ბებუთ-ხანი), ერთი უფროსთაგანი იმ რაზმისა, რომელიც შესდგებოდა გამაჰმადიანებულ ქართველთა და სომეხთა ტყვეთაგან. ამ ბებუთაშვილმა ყაენის ბრძანებით მოჰკლა ყაენის შვილი სეფი იმ დროს, როდესაც ის ცხენზე ჯდებოდა თავის სასახლის ეზოში, თვითონ კი ყაენის თავლაში დაიმალა. ყაენმა ნება არ მისცა, რომ დაესაჯათ ბებუთხანი ვითომ იმ ჩვეულების პატივ-საცემლად, რომელიც თავლას ხელ-შეუხებელს თავშესაფარად ხდის დამნაშავეთათვის.—მამის მკვლელის სისხლი შვილმა უნდა ეძიოსო,—ბრძანა ყაენმა. სეფის პატარა შვილი რომ გაიზრდება, მაშინ იმან იცის, როგორც გადაუხდის ბებუთაშვილსა. მალე ბებუთაშვილი გამოვიდა თავლიდან და შაჰ-აბაზისგან დანიშნულ იქმნა უფრო დიდს და წარჩინებულს თანამდებობაზე.

მაგრამ ბუნებრივმა სინიდისმა მალე ამხილა მტარვალს მისი დანაშაული. შაჰ-აბაზმა დაუწყო დევნა მათ, ვინც პირმოთნეობით და მლიქვნელობით ხელს უწყობდა მას შვილის წინააღმდეგ. ყველაზე მეტად კი დასაჯა ის, ვინც ბრმა იარაღი იყო მისის მხეცურის დანაშაულისა. მან უბრძანა ბებუთაშვილს, რომ მისთვის მიეტანა თავის შვილის თავი. უგულო მონამ შეასრულა ბრძანება და ტაბაკზედ მიართვა ყაენს თავის საკუთარის შვილის მოჭრილი თავი. შაჰაბაზმა ზიზღით სავსე მწარე ღიმილით ჰკითხა ბებუთაშვილს, თუ რას გრძნობდა იგი. ძლიერ უბედური ვარო, უპასუხა ბებუთაშვილმა.—ბედნიერი იქნები, უპასუხა შაჰაბაზმა, რადგან შენ ხარ პატივმოყვარე და შენი გული ჰგავს შენის ბატონის გულსო.

შეადგენს ისეთ უწყუგში მდგომარეობას, როგორც ეს ამ რეფორმებამდე იყო.

მეცხრამეტე საუკუნემდე ინგლისი ფეოდალური და მიწად-მოქმედი ქვეყანა იყო, ეხლა კი იგი შეიქნა მრეწველობის კლასიკურ ქვეყანად. მეოთხმოცე წლებამდე ინგლისს მრეწველობის მონოპოლია ჰქონდა; მას მეტოქე არ ჰყავდა მსოფლიო ბაზარზე. მრეწველობის დიდმა განვითარებამ გამოიწვია ბაზრის ძებნა და ამ საუკუნის განმავლობაში დღეც არ ყოფილა ისეთი, რომ ინგლისს ომი არ ჰქონოდა ვისმესთან ბაზრის მოპოვების გულისათვის. ინგლისს ნამდვილი მოკავშირე არასოდეს არა ჰყოლია; იგი ყველას მეტოქე იყო; ამ მეტოქეთა შორის კი ამ საუკუნეში ყველაზე შესამჩნევი რუსეთის იმპერიაა. ინგლისში ყოველთვის და ყველგან ხან მედგრად და პირდაპირ, ხან დიპლომატიური ხრიკებით ეწინააღმდეგება რუსეთს; იგი თვალს ადევნებს რუსეთის მთავრობის ყოველ ნაბიჯს. საკმარისია გავიხსენოთ ყირიმის ომი და ბერლინის ტრაქტატი, ინგლის რუსეთის დამოკიდებულების დასახასიათებლად.

ინგლისი ჯერ კიდევ ბატონია მსოფლიო ბაზრისა, ჯერ კიდევ მარტოდ-მარტოა და ყველას ეომება, თუმცა დიდი გასაჭირი ადგია.

და მერე რა შუაშია აქ დედოფალი ვიქტორია? უმთავრესი დამსახურება ამ გვირგვინოსანისა ის არის, რომ იგი ხელს არ უშლიდა მომწიფებულის ერის ბუნებრივ განვითარებას, იგი იყო იდეალი კონსტიტუციონალურ მეფისა, რომელიც „მეფობს და არ მართავს“; ეს ისე ადვილი არ არის, როგორც, შეიძლება, პირველად ეჩვენოს კაცს, მით უმეტეს, რომ ინგლისის კონსტიტუციით მეფეს უფლება აქვს აქტიურად ჩაერიოს ერის მართვა-გამგეობის საქმეებში. საკმარისია მოვიყვანოთ გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორის მაგალითი და შევადაროთ მისი მოქმედება დედოფალ ვიქტორიას მოქმედებას, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენათ სასარგებლო იყო ინგლისისათვის ისეთის გვირგვინოსანის მეფობა, როგორც იყო განსვენებული დედოფალი. თავის ამ გვარი ქცევით ვიქტორიამ ისე შეაყვარა თავი ერს, რომ რესპუბლიკანური მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო 1848-ში, სრულებით ჩაქრა ინგლისში. 1897-ში ინგლისმა დიდებულად იდღესასწაულა თავის საყვარელ დედოფლის სამოცი წლის მეფობის იუბილეი და უჩვენა მთელ ქვეყანას, თუ რა კავშირი არსებობდა ერსა და გვირგვინოსანს შორის.

დიდებულს დედოფალს უკანასკნელი დღეები ჩაუმწარდა. მის ქვეყანას დიდი განსაცდელი გაუჩნდა სამხრეთ-აფრიკაში და, ეჭვს გარეშეა, ამ განსაცდელმა გავლენა იქონია ჯანსაღ გვირგვინოსანზე და დააჩქარა მისი გარდაცვალება.

განსვენებული დედოფალი დაიბადა 1819 წელს 24 მაისს; მაშასადამე ის 81 წლისა იყო. ინგლისის ტახტზე ავიდა 18 წლისა, 1837 წელს 20 ივნისს და ამ რიგად მეფობდა 63 წლის განმავლობაში. 1840 წელს ვიქტორიამ ჯვარი დაიწერა ალბერტ-საქსენ-კობურგ-გოტელზე; 1861 წელს ალბერტი გარდაიცვალა და დედოფალი დაქვრივდა. 1878 წელში იგი აღიარებულ იქმნა ინდოეთის იმპერატრიცად. დედოფალს ჰყავდა 9 შვილი, რომელთაგან მეორე—ალბერტ-ედუარდი—მემკვიდრეა ინგლისის ტახტისა მხცოვან დედოფლის გარდაცვალების შემდეგ. ახალი მეფე ინგლისისა ამ ჟამად 59 წლისაა იყო.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან

⁂ ერთი რუსული გაზეთის კორესპონდენტი იწერება ლონდონიდან:

«ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია, და ამ ანდაზის სიმართლე ნამდვილად დაამტკიცეს ბურებმა. ამათ თავიც ისახელეს მთელის ქვეყნიერობაზე უმაგალითო გმირულის ბრძოლით და თანაც ლამის მიახწიონ თავიანთ გულითად საწადელს. ლამის ღელო გაიტანონ ამ საარაკო ბრძოლაში და ბურთიც და მოედანიც თითონ დაანარჩუნონ ბურებმა ლამის დაიტოვიონ თავიანთ ნებაზე ძლევა მოსილი და ამაყი ალბიონი. ინგლისში თან და თან რწმუნდებიან, რომ ბურების ჯობნა შეუძლებელია, რომ აქ ორი ჯარი კი არ ებრძვის ერთი მანეთს, აქ ომი სწარმოებს ორი ერის—ინგლისელებსა და ჰოლანდიელებს—შუა. ბურებზედ გაიმარჯვებს სახემწიფო კაცის ჭკუა და არა მოხერხებული სარდალი; თავს გაიტანს ხელოვანი მმართველი და არა ზარბაზანი; აქ საჭიროა გლადსტონი და არა კიტჩენერი. სამწუხაროდ ამისთანა საჭირო, დიდი სახელმწიფოს ჭკუის პატრონი კაცი არა ჰყავს სოლსბერის სამინისტროს; ვერც ერთი სარდალი ვერ უშველის იმას და ვერ გამოიყვანს იმ საშინელი გაჭირებისაგან, რომელშიაც ამ სამინისტრომ ჩააგდო თავისი თავი და ინგლისიც. ინგლისელებს, როგორც ყველაფერში ეტყობათ, თან და თან გული უცრუვდებათ ჩემბერლენ სოლსბერის სამინისტროზე; ისინი მოუთმენლად ელიან თებერვლის დამდეგს, როდესაც შეიკრიბება პარლამენტი; ყველას იმედი აქვთ, რომ პარლამენტი ეხლა კი მიაქცევს ყურადღებას მთავრობის მოუხერხებელ, მავნებელ ქცევას და ბოლოს მოუღებს სამხრეთ აფრიკის ომს, რომელიც უსამართლოდ, უმიზნოდ სწყვეტავს და ღუპავს ბურებსაც და ინგლისელებსაცაო.

ყველანი ჰფიქრობენ რომ პარლამენტი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს ორ საგანს: ირლანდიის ფერმერთა გაჭირვებულს ეკონომიურ მდგომარეობას და სამხრეთ-აფრიკის ომსაო და ეცდება ორივე ეს საგანი სასურველად დაამთავროსო».

⁂ «დეილი ტელეგრაფს» სწერენ ლორენცო მარკეზიდან, რომ ყველა ბურები დიდი სულის მხნეობას იჩენენ ამ ბოლოს დროსაო. ლორენცო-მარკეზში თავშეფარებულმა ბურებმა გამართეს დიდი აგიტაცია, რათა ყველა ლორენცო-მარკეზში მცხოვრები ბურები შეუერთდნენ მებრძოლ ბურებს.

⁂ «დეილი ტელეგრაფს» სწერენ პრეტორიიდან: «რაკი ვერა გააწყეს რა ბურებთან ვერც ხერხით და ვერც ძალით, ლორდ კიტჩენერმა მიიწვია პრეტორიაში კაპელი მღვდელი გოფმეიერი და სთხოვა, რათა დაარწმუნოს ბურები, რომ იმათი ბრძოლა ტყუილი და უსარგებლო არის».

⁂ «მორნინგ პოსტ»-ის კორესპონდენტი იტყობინება ბრიუსელიდან, რომ კრიუგერმა ძალიან მოიწონა დევეტის მოქცევა საზავო კომიტეტის სამ წევრთან და სთქვა: «ეს იმის სამაგიეროა, ლორდ რობერტსმა რომ სიკვდილით დასაჯა ბურების ლეიტენანტი კორდუა. პრეზიდენტს დაუმატებია, რომ ამისთანა სასჯელი ელის ყველა იმ ბურებს, რომელნიც კი ურჩევენ თავიანთ თანამემამულეებს იარაღის დაყრას.

⁂ ავსტრალიიდან, ქალ. სიდნეიდან, იწერებიან, რომ სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნად დამტკიცებული ჯარის კაცები ხშირად გაიქცევიან ხოლმე თავიანთ სახლებშიო.

⁂ იტალიაში საზოგადოება მთლად ბურების მხარესაა. ბურების ყველა საზოგადოებათა კრებამ ფლორენციაში თანაგრძნობა გამოუცხადა ბურებს. თავისი დადგენილება კრებამ დეპეშით კრიუგერს აცნობა. კრიუგერმა უპასუხა დეპეშითვე რომ ყველა ამისთანა თანაგრძნობის გამოცხადება უფრო ამხნევებს თითონ იმას და იმის ერს—განაგრძონ ბრძოლა თავისუფლებისა და ადამიანობისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

⁂ გააგიდან სწერენ «დეილი მაილს», რომ ვინც რა უნდა, სთქვასო კრიუგერი კი სულ ერთს და იმასვე ამბობსო: არ შევურიგდებით ინგლისს, სინამ ჩვენ რესპუბლიკებს სრულს დამოუკიდებლობას არ დაუბრუნებენო».

⁂ «დეილი ტელეგრაფის» ცნობით, ბურების ახალი ძრიელი რაზმი გადავიდა კაპის ახალშენში, ჯერ ამოდენა რაზმი არ შესულა ხსენებულ ახალშენში. ინგლისელებს, როგორც ეტყობა, არ შეუძლიათ ბურების მოძრაობის გაჩერება. ჩრდილოეთისაკენ გაიგზავნა პ. რველი რაზმი ინგლისელი კელოსიპედისტებისა, მაგრამ არ იციან, როგორ უნდა იაროს ამ რაზმმა, რადგანაც ყველა გზები საშინლად ატალახებულია დიდი წვიმების გამო.

⁂ კაპშტადტიდან იწერებიან, რომ კლენფონტენის მადნების ზარალი ადის ოფიციალურის ანგარიშით 210,000 გირვ. სტერლინგამდე. ზაგერ ფონტეინიდან (კიმბერლეის ახლო) ჯარების გაყვანამ ყველანი ძრიელ შეაწუხა. თითქმის მთელი მდ. ვაალის პირზე ბურები დიდს მხნეობას იჩენენ.

⁂ ბურები ტრანსვაალშიაც ძალიან მხნედ მოქმედობენ. ლორდ კიტჩენერის პროკლამაციებს, სადაც კი ჰნახვენ, ბურები მაშინვე ჰხევენ.

⁂ კაპშტადტში მოხელეები ისევ ქალაქის გამაგრების დარდში არიან. წარსულ ორშაბათს თათბირი ჰქონდათ გენერალ ბრაბანტსა და კაპშტადტის ქალაქის თავს. ამ თათბირზედ დაესწრნენ აგრეთვე სხვა ქალაქების თავებიც. გენერალმა სთხოვა ქალაქის თავებს შემწეობა და კაცები კაპის ახალშენის სადარაჯოდ. გენერალმა დაუმატა, რომ იმას არა გონია, რომ ბურები უახლოვდნენ კაპშტადტს, მაგრამ მაინც-და-მაინც სიფრ. ხილეს თავი არ უნდა...

⁂ «ტაიმს»-ში ... ბურების მომხრე ლეონარდ კურტნეისა, რომელიც ახალს პროექტს იძლევა სამხრეთ-აფრიკის საკითხის გადასაწყვეტად. ეს პროექტი ამ... რია: სამხრეთ-აფრიკა უნდა გაიყოს რამდენიმე ოლქად; ოლქებს თვით-მმართველობა ექნებათ ... ნიშნებული და ამასთანავე ყოველი ოლქი თვითონ ამოირჩევს თავისთვის ამ თვით-მმართველობის ფორმას. კორტნეის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება გამოსვლა იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ინგლისია ჩავარდნილი. ამისთანა ძნელი საგნის გადაწყვეტას, რასაკვირველია, უნდა დახელოვნებული კაცებიც. მაგრამ კურტნეის იმედი აქვს, რომ ამისთანა კაცები გამოჩნდებიან. ყოველ შემთხვევაში, სინამ ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება იწარმოებს ბურებთან, უეჭველად, დროებით ზავი უნდა შეიკრასო.

«მანჩესტერ გარდიან»... შენიშნავს ამ წერილის გამო: «სანამ ეს მოლაპარაკება და დროებითი ზავი შეიკრება, იქნება რამდენიმე თვემაც გაიაროს, და არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ყოველი კვირის ომი ინგლისს უჯდება 50 მილიონი ფრანკი».

⁂ ლონდონში ინგლისის ლიბერალურ დასის კრება ჰქონდა გამართული. ამ დასის-ერთმა გამოჩენილმა წევრმა, ლორდ კოლრიჯმა, უარი სთქვა და არ მიიღო მონაწილეობა ამ კრებაში. თავის უარი კოლრიჯმა ამ სიტყვებით დაასაბუთა: «საშინელ ზიზღსა მგვრის ეს სამხრეთ-აფრიკის ომი, მძაგს ის პოლიტიკა, რომელმაც ომი გამოიწვია, ჟრუანტელსა მგვრის ის სისტემა, რომლითაც ამ ომს აწარმოებენ და მეზიზღება ის სულმდაბალი აღტაცება, რომლის მიზანიც არის—გაჟლეტა ერთი მუჭა გლეხკაცებისა, რომელნიც იცავენ თავიანთ მიწა-წყალს, წინააღმდეგ ერთი ათად მეტი ჯარისა, იმ ჯარისა, რომელსაც ლამის ინგლისის მთელი სამხედრო ძალა დაედრე მოუნდეს.

---

# ახალი ამბავი

✦ გუშინ, 10 იანვარს, დილით, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე კახეთში გაემგზავრა.

✦ გუშინ წინ, 10 იანვარს, ტფილისიდან წავიდნენ თავიანთ ეპარქიებში: ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, იმერეთის ეპისკოპოსი, და ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე, გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი.

✦ გუშინ დილით ტფილისში ჩამოვიდა ეჩმიაძინიდან სომეხთა კათოლიკოზი მკრტიჩ ხრიმიანი.

✦ ოთხშაბათს, 10 იანვარს, მამადავითის ეკკლესიაში დაკრძალულ იქმნა გვამი გარდაცვალებულის ცნობილ მემამულის თავ. ზ. ბარათაშვილისა. გასვენებას დაესწრნენ ნათესავ-ნაცნობნი და მრავალი გარეშე ხალხი. განსვენებულის სულის მოსახსენებლად...

---

შაჰ-აბაზის მხეცობის მსხვერპლად შეიქმნენ კიდევ ორი სხვა მისი შვილი, რომელსაც თვალები დაათხრევინა. აი რა ცნობას იძლევა ისტორია ერთს მათგანზე, რომელსაც ერქვა ხოდა-ბუნდა. ის ყოფილა შესამჩნევი თავის ვაჟკაცობით და ნიჭით. იცოდა რა მამის ხასიათი, ის ერიდებოდა აეძრა მამის მხრით შური და იმიტომ არ იკარებდა ახლო მლიქვნელობას და უშლიდა ყველას, რომ რისთვისმე ექოთ. ამით იმან უფრო გაითქვა სახელი და ვერ აიცილა მამის შური. შაჰ-აბაზმა მოაკვლევინა მისი გამზრდელი და მახლობელი მეგობარი. ხოდა ბუნდამ იცოდა, რომ გამზრდელის დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ მას იგი უყვარდა და ამიტომ მეტად იწყინა. მივიდა სასახლეში და მამას გამოუცხადა თავისი მწუხარება. იქამდის გაბრაზებული იყო, რომ ხმალიც კი იშიშვლა მამის წინაშე. შაჰაბაზმა მაშინვე გასცა ბრძანება, რომ მოეკლათ ხოდა ბუნდა, მაგრამ მერე დათანხმდა, რომ მხოლოდ თავალები დაეთხარათ.

თვალებ დათხრილი ხოდა ბუნდა საშინელს მწუხარებას მიეცა და სულ იმის ოცნებაში იყო, რომ როგორმე გადაეხადნა მამისთვის სამაგიერო. ბოლოს ამის საშუალებაც იშოვა. ამას ჰყავდა ერთი პატარა ასული სახელად ფატიმი, რომელიც შაჰ-აბაზს გაგიჟებით უყვარდა. შაჰ-აბაზი ერთს დღეს ვერ გასძლებდა იმის უნახავად და, რაც უნდა გაჯავრებული და გარისხებული ყოფილიყო, ერთს იმის გაგონებას შეეძლო დაეწყნარებინა. ხოდა ბუნდამ გადასწყვიდა მამის ჯავრის ამოყრა თავის საკუთრის ასულის მოკვლით. ერთხელ, როდესაც პატარა ქალი თამაშობის დროს ძოეხვია მამას, ხოდა ბუნდამ წაუჭირა ყელში ხელები და ერთს წუთში დაახრჩო. თავზარდაცემულმა ცოლმა შეჰკივლა, ეგ შენი საყვარელი შვილია, რომ მოჰკალიო. ხოდაბრუნდამ ყური არ ათხოვა და გამხეცებულმა მიიწია თავის მეორე შვილისაკენ, რომელიც შორი-ახლო იდგა. ცოლი მივარდა და ხელიდან გამოსტაცა ვაჟი-შვილი. მაშინათვე აცნობეს შაჰ-აბაზს, რომელიც მოვარდა საშინლად შეწუხებული და განრისხებული. მისმა შეწუხებამ და რისხვამ ერთის წუთით გაახარეს წუთი-სოფელ გამწარებული ხოდა ბუნდა, რომელმაც, გაძლა-რა შურისძიებით, შეჭამა საწამლავი და მოიკლა თავი.

მოვიხსენიებთ კიდევ ერთს ამბავს შაჰ-აბაზის ცხოვრებიდან, რომელიც ნათლად გვიხატავს, როგორც მის სიანჩხლეს და ვერაგობას, ისე მის ლონივრობას. 1603 წ. შაჰ-აბაზი, ოსმალებზე გამარჯვების შემდეგ, იჯდა თავის ბანაკში და ქეიფს ეწეოდა თავის ჯარის უფროსებთან ერთად. ქეიფის დროს შაჰმა დაინახა, რომ ერთმა სპარსმა გაატარა შებოჭილი უზარმაზარის ტანის ტყვე. შაჰმა ტყვეს ჰკითხა, ვინა ხარო.—მე ვარ ქურთი მუყრის გვარისაო,—უპასუხა ტყვემ. შაჰს მოაგონდა, რომ მას ახლდა ერთი ქურთი როსტომ-ბეგი, რომელსაც ტყვის ოჯახის დარდი სჭირდა. ეს ტყვე როსტომ-ბეგს გადაეცითო,—ბრძანა შაჰმა. როსტომმა ტყვის მიღებაზე უარი სთქვა:—დიდებული შაჰი, უეჭველია, მაპატიებს; მართალია, მე მოვალე ვარ მტერს სისხლი გადავახდევინო, მაგრამ მე ალთქმა მაქვს დადებული, რომ არ ვისარგებლო თავის დღეში მტრის სისუსტით, როდესაც ის სისაწყლეში ან ტყვეობაშია. ამ კეთილშობილურმა პასუხმა საშინლად გააბრაზა შაჰ-აბაზი და დაუძახა თავის მცველთ უფროსს, რომ ტყვისათვის თავი მოეკვეთა. ამის გაგონებაზე ტყვემ გაწყვიტა ლიჯა თოკვი, რომლითაც შეკრული იყო, იძრო ხანჯალი და გაექანა პირდაპირ შაჰ-აბაზისკენ. შაჰ-აბაზი წინ მიეგება და გაიმართა მათ შორის ბრძოლა. ყველანი წამოდგნენ ყაენის მისაშველებლად. არეულობაში სანათი გაქრა და სიბნელეში ვ... რავინ ზედავდა იარაღი ეხმარა იმ შიშით, რომ ყაენისთვის არ მოეხვედრებინათ ტყვის მაგიერ. პატარახანს უკან მოისმა ყაენის ხმა: მე მიჭირავს მის ხელი, მე მიჭირავს მის ხელი! სიწყნარე ჩამოვარდა, მოიტანეს სანათი და ყველა მხრით ხმლები დაეშვა ტყვის თავზე. შაჰ-აბაზი, რომელსაც გაშმაგებულ ქურთისთვის წაერთმია ხანჯალი, ჩაჯდა ხელახლად თავის ჯარის უფროსთა შორის და განაგრძო ქეიფი.

დ. კარიჭაშვილი

...თის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი ...აიხადა გორის ეპისკოპოსმა ყოვლად ...დღლი კირიონმა. წირვის შემდეგ სიტ...ვა წარმოსთქვა მამადავითის მღ. მ. მაჭა...ილმა, რომელმაც დაახასიათა გან...ბილის ცხოვრება.

✦ მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადო... გარდაუწყვეტია გამოსცეს ყველა არ...ოგიური გამოკვლევანი კავკასიისა და ...სავლეთ გუბერნიების შესახებ. საერო ...ლების სამინისტროს ამ საგნისთვის ...უდვია 6 ათასი მანეთი.

✦ უმაღლეს მთავრობას გარდაუწყვე... მომავალ გაზაფხულზე შეუდგეს ამიერ...სიის სახაზინო მიწებზე დამკვიდრე...თა (поселяне) მიწად-მფლობელობის ...ს-რიგებას.

✦ გადაწყდა დაარსება რუსეთის სხვა ...სხვა ქალაქებში და მათ შორის კავკა...შიაც საშუალო სამთო სკოლებისა. სამ...უწყება ამ ჟამად ადგენს ამ სკოლების ...გრამას.

✦ ტფილისის გუბერნატორმა წინადა... მისცა ქალაქის თავს დაუყოვნებლივ ...ადგინოს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღ...ხვა ქალაქის თვით-მმართველობისა.

✦ ამ დღეებში დასრულდა ინჟენერ ...რავლიკთა კრება ტფილისში. რამდე...ე პრინციპიალური საკითხი მორწყვის ...ის შესახებ წარედგინება განსახილვე...ე მიწად-მოქმედების სამინისტროს.

✦ ამ თვის დამლევს ტფილისში ჩამოვა ...ად დანიშნული კავკასიის გზათა სამმარ...ლოს უფროსის თანაშემწე ბ-ნი სმირ...ვი.

✦ კაპიტალისტს არზუმანოვს თხოვნა გა...ზავნია შინაგან საქმეთა სამინისტროსათ..., რომ ნება მიეცეს მას მოაწყოს კერძო ...თა საჭიროებისათვის ტელეფონები ტფი...ლისში და ქუთაისში.

✦ ამ წლის აპრილის დასასრულს გლაზგო... (ინგლისი) გაიმართება საერთაშორისო ...ოფენა. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, ...მ გამოფენაში ოფიციალურს მონაწილე...ას მიიღებს რუსეთიც. რუსეთის განყოფი...ბაში მიიღებენ ექსპონატებს სამეურნეო ...სამთო მრეწველობისას და აგრეთვე ხა...ჩებს, ტყავს, რქისა და შუშის ნაწარმოებს ...ტყის მასალას. გამოფენა ოქტომბრამდე ...ტანს.

✦ „ქუთაისის გუბერნიის უწყებებში“ ...თხულობთ შემდეგ ოფიციალურ განც...ებას: „ჩერნომორიის გუბერნატორის ...თხოვნით, ეძებენ სადღაც გადაკარგულს ...ჩის ოლქის უფროსს პოდპოლკოვნიკ გლა...ლევს, რომელიც 13 დეკემბერს ბათუმ... ჩამოვიდა და შემდეგ ფოთში წავიდა. ...აგოლიევს ტანთ აცვია ძველი ნაცრის ...რი „ტუჟურკა“, ძველი ნაცრის ფერი ...ლტო და წითელ კანტიანი ქუდი ჰხურავს“.

✦ სახალხო პირველ-დაწყებით სწავლის ...ძლიერებისათვის წელს გადიდვა 200 ათა... მან.; სამრევლო სკოლების გახსნისა...ის—100 ათასი მან.; სოფლის მასწავლე...ლთა დამხმარებელ კასსას მიეცემა შემ...ობა 136 ათასი მან..

✦ ირკუტსკში ამას წინად გაირჩა სასა...თლოში საქმე ბ. ბახმეტიევისა, რომელ...ც უჩიოდა ინჟ. თავ. ანდრონიკაშვილი — ...ეთში ცილი დამწამაო, ვითომ მუშებს ...ლდათ ვეპყრობიო. ბახმეტიევი სასამართლომ ...მართლა. ეს საქმე ამით გათავებულა. რო...რც იუწყებიან ციმბირის გაზეთები, 22 ...კემბერს, როდესაც ბახმეტიევი, საქმის გა...ვების შემდეგ ირკუტსკიდან მიდიოდა, რკი...ს გზის სადგურზე მასთან მივიდა ბ. ჩიქოვანი ...თი მოწმეთაგანი) და გაარტყა ისე მძლავ...დ, რომ ბახმეტიევი წა ქცა. დაიწყო ახა... გამოძიება.

✦ ოთხშაბათს, 10 იანვარს, ქალაქის ...გეობის სადგომში მოხდა შეერთებული ...ღომა ქალაქის გამგეობისა, ხმოსან ტეხნი...სთა, ქალაქის ინჟინერისა და ტეხნიკებისა, ...რომელზედაც განიხილეს რობის მიერ გამგე...ბაში წარდგენილი მამადავითის გორაზე ფუნიკულერის გაყვანის შესახებ პროექტი. სხდომამ, განიხილა რა დაწვრილებით ამ საქმის შესახებ წარმოდგენილი ცნობები, დაადგინა: 1) რადგანაც პროექტით ფუნიკულერი თავის სამოძრაო ძალას მიიღებს ტრამვაის საელექტრონო სადგურიდგან, დაევალოს კონცესიონერს, რომ კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ გაუკეთდეს ფუნიკულერს განსაკუთრებული მექანიკური მამოძრავებელი მანქანა, რომ ტრამვაისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდეს, 2) წინა დადება მიეცეს კონცესიონერს წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას განსაკუთრებული ტეხნიკური გეგმა ფუნიკულერისათვის გზის გამართვის შესახებ; ზოგიერთი ცნობები კონცესიონერმა უნდა წარადგინოს ამ დღეებში და ზოგი ორი კვირის შემდეგ. 3) წინადადება მიეცეს იმავე კონცესიონერს, წარმადგინოს პროექტი იმის შესახებ, თუ ფუნიკულერის ვაგონებით როგორ შეიძლება საქონლის გადაზიდვა და 4) რაც შეეხება მოლაპარაკებას კონცესიონერისაგან მამადავითის წყლის აუზიდან წყლით სარგებლობის შესახებ სხდომამ დაადგინა გადაიდოს შემდეგ დროისათვის, როცა ადგილობრივ იქმნება დათვალიერებული ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით შემდგარ განსაკუთრებულ კომისიისაგან ის ადგილი, სადაც უნდა გაკეთდეს ფუნიკულერისათვის ქვემო სადგური.

✦ გუშინ, 11 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ზუგდიდის მაზრის, სოფ. კირუეჲს მცხოვრების, რკინის გზის ოსტატის კონსტანტინე სახურიასი, სადგურ მცხეთის უფროსის ოქროპირ ჯავახიშვილისა და ტფილისის მოქალაქის რკინის გზის ინჟინერ-ტეხნიკოსის ნაგელისა, რომელთაც ბრალად ედება დაუდევრობა და თვისი თანამდებობის აუსრულებლობა, რის შედეგიდაც 1899 წელს 17 ნოემბერს მატარებელი № 21 ჩაიმტვრა ძეგვის ხიდში, რომლის დროსაც დაიხოცნენ მემანქანე გალუბენკო და მისი თანაშემწე რჟოცი და დასახიჩრდა მოხელე პავლე იაძე. საქმე გადაიდო სხვა დროსათვის, რადგანაც, სხვათა შორის, არ გამოცხადდა ერთი უმთავრესი მოწმეთაგანი ბარდენბერგი, რომელიც დააჯარიმეს გამოუცხადებლობისათვის 50 მანეთით.

✦ ტრამვაის დირექტორმა ბ-ნმა რობიმ განაცხადა ქალაქის გამგეობაში, რომ უკანონოდ სთვლის გამგეობის უკანასკნელს ჯარიმებს, რომელიც მას შეაწერეს და არ აასრულებს გამგეობის მოთხოვნილებას, რომ ცხენები ვერის ხიდთან კი არ დააყენონ, არამედ ქვევით, მტკვრის ნაპირზედო.

✦ შაბათს, 13 იანვარს, ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია, რომლის წევრებადაც არიან ქალ. ინჟენერის თან.-ადმ. მელიქ-ბეგლიაროვი, ტეხნიკოსები ლისიცევი, ქურდიანი, ინჟენერ-ტეხნიკოსი ტ. ა. ენფენჯიანცი, და სხვანი შუადღის 1 საათზე დაათვალიერებს მთაწმინდაში მოედანზე იმ ადგილს, სადაც უნდა გაკეთდეს ფუნიკულერისათვის პირველი სადგური.

✦ რედაქციამ მიიღო „წესდება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა“ რუსულსა და ქართულს ენაზე. ეს წესდება მთავრობამ დაამტკიცა 1900 წ. 13 მაისს.

✦ გუშინ ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა კეტერინარის კარშამოვის სახლიდან გაიტანა სხვა და სხვა ტანისამოსი 15 თუმნად ღირებული.

✦ გუშინ-წინ მოლიციის პირველ ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ერთი მეტად თავხედი ქურდობა მოხდა. გოლოვინის პროსპექტიდან მოდიოდა ორი ვიღაც ქალი, რომელთაც ჭავჭავაძის ქუჩაზე აუხვევიათ; ამათ უკან გაჰყოლია ერთი ვიღაც უცნობი, რომელიც წამოსწევია მათ აღნიშნულ ქუჩის მოსახვევში, გამოუტაცნია ერთ მათგანისათვის ხელიდან საკვოიაჟი და გაქცეულა. ქურდს გამოუდგნენ და დაიჭირეს. იგი აღმოჩნდა ვიღაც ივანე გ. ნაჩხავული. ნაჩხავული პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

## პროფ. ვ. მ. პეტრიაშვილის იუბილეი.

(წერილი ოდესიდან)

საზოგადო მოღვაწის დაფასების დროს ჩვეულებრივ ორ მხარეს ღებულობენ სახეში. პირველი, მისი შრომის ღირსება-ნაკლულევანება, ღირებულება; მეორე, მისი ზნეობრივი ფიზიონომია: თუ როგორ მაგალითს იძლეოდა ესა თუ ის პირი თავის კერძო ცხოვრებით, როგორი მატარებელი იყო ცხოვრებიში თავის აზრის, რწმენის, მიმართულების. ბედნიერია ისეთი ადამიანი, რომელიც სავსებით შეიძლებს ამ ორ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას! — ასეთი კაცის გავლენა და ზედ-მოქმედება გაცილებით მეტია თანამედროვეებზე და მისი სახელიც მოწიწებით და უჩვეულო პატივისცემით მოიხსენიება ცივილიზაციის მიუდგომელ ისტორიაში. საუბედუროდ კაცობრიობამ ცოტა იცის ასეთი ყოველმხრივ უნაკლულო მოღვაწენი, და რა გასაკვირველია ჩვენ უფერულ ცხოვრებაში ხელის თითებზე შეიძლებოდეს მათი ჩამოთვლა. ასეთი საპატიო პირთა შორის უპირველესი ადგილი ჩვენში უკავია ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს ვ. მ. პეტრიაშვილს, რომლის იუბილეი იდღესასწაულა 31 დეკემბერს ადგილობრივი უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტობამ. პატივცემული იუბილიარი მოწვეულ იქმნა ტრადიციალურ ვახშამზე *). ვახშამზე დაესწრო აგრეთვე ე. ყ. პეტრიაშვილისა და ქართული კალონიის ზოგიერთი წევრები. სალამო დაიწყო რეფერატის კითხვით, რომლით სტ. ს. ავალიანმა სავსებით გაგვაცნო გიორგი მე-XII-ის ცხოვრებას. რეფერატის შემდეგ სტ. ს. მდივანმა გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა ძვირფას იუბილიარს, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ იუბილიარი, როგორც მეცნიერი — სადიდებელია და, როგორც კაცი, თაყვანსაცემიო. შემდეგ სტ. ი. მოსეშვილმა წაიკითხა ადრესი და კიდეც მიართვა. როგორც ტელეგრამით გაცნობეთ, საპასუხო სიტყვა ჩვეულებრივი თავმდაბლობის ზეწარში იყო გამოხვეული. „მეო, დაათავა სიტყვა საყვარელმა პროფესორმა, ერთი კარგი მხარე შეიძლება მქონდესო; ახალგაზდობა ყოველთვის სულით და გულით მიყვარდა და მიყვარსო, შეძლებისა დაგვარად არ დამიშურია მისთვის დახმარება და ხელის გაწყობაო“. აღფრთოვანებული ტაშის ცემამ დაჰფარა ორატორის სიტყვები. გრძნობით გამოწვეული ცრემლები ყელში ადგა დამსწრეთ. სრულ თორმეტ საათზე დაიწყო ვახშამი, რომლის დროს იუბილიარს სიტყვები უთხრეს ბ. ბ. საბა კლდიაშვილმა, ვ. შავდიამ. — საზოგადოება ფეხის ადგომით და „მრავალ ჟამიერთან“ შეზავებულ ვაშას ცემით მიეგება ტოსტებს... აქვე მოგვყავს ადრესის შინაარსი:

დიდათ პატივცემულო მასწავლებელო,
ძვირფასო თანამემამულევ ჩვენო ვასო!

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს უკან ჩამორჩენილ სამშობლოს ახალი განთიადი დაუდგა. საზოგადო ცხოვრების და ლიტერატურის განახლებასთან მეცნიერების შუქმაც შემოანათა ჩვენში. იმ სახელოვან ქართველ პირთა შორის, რომლებიც შეიქმნენ პირველ მოციქულებათ წმინდა მეცნიერებისა, თქვენ წილათ გხვდათ პატივი და ბედნიერება გაგეწიათ ერთგული სამსახური როგორც თვით მეცნიერებისთვის, ისე სამშობლოსათვისაც. ოცდა ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც თქვენ სამეცნიერო სფერაში მოღვაწეობა დაიწყეთ, და ეს ოცდა ათი წელი მთელი ეპოქაა თქვენ თანამემამულეთათვის. უკან ჩამორჩენილი ქვეყნის სახელის აღდგენა, თანამემამულეთა გამხნევებაწაქეზება საგულისხმო მაგალითით ძმათთვის მეცნიერებისაკენ ეკლიანი გზის გაკაფვა, თვით მეცნიერების წინაშე მიტანილი მსხვერპლი — აი ის დიდი ღვაწლი, რომელიც აღინიშნა თქვენი ოცდა ათი წლის მეცნიერულის შრომით. ძვირფასო თანამემამულევ! თქვენ პირადა ...... და ...... ვიწყარ ღვაწლათ გეთვლებათ ის ...... ბული სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, რომელიც არ დაუვიწყებია თქვენთვის თქვენ მეცნიერულ სარწმუნოებას, მარადის სახსოვარი და სამადლობელი მამობრივი სამსახური იმ ოცდა ათ ახალგაზდა თაობათა წინაშე, რომლებიც აღიზარდნენ თქვენ თვალწინ და მათ საერთო alma mater-ის კედლებში, მუდამ შეურყეველი ჭეშმარიტი მეგობრული დამოკიდულება თქვენსა და თქვენს აუდიტორია-ლაბორატორიას შორის. არ ყოფილა ისეთი საგულისხმო საქმე ჩვენში, რომ თქვენი წმინდა თანაგრძნობა არ გამოეწვიოს. ოდესელ ქართველ სტუდენტობას თქვენ მუდამ მამობრივ სამსახურს უწევდით, როგორც ზნეობრივ-გონებრივად, ისე ნივთიერადაც და ყოველი ჩვენგანი ნუგეშობდა და ნუგეშობს იმით, რომ უცხო ქვეყანაში მას ამისთანა მამა ეგულება. თქვენი სამსახური სამშობლოს წინაშე თქვენ დააგვირგვინეთ ძვირფასი შრომებით, რითაც თქვენი სამშობლო ქვეყნის მეურნეობის აღორძინებას დაუფასებელი სამსახური გაუწიეთ. ამ შრომების წყალობით დაედვა ჩვენში საფუძველი ლავუაზიეს მიერ შექმნილ ქიმიას და ამნაირად თქვენ შეიქმენით თქვენ მიერ ესრეთ შეყვარებულ სამშობლოში ამ დიდი მეციერების მამამთავრად. თქვენი სიმპატიური დამოკიდებულება თქვენს თანამსახურ პროფესორებთან და საზოგადოდ მთელ უნივერსიტეტთან, გულწრფელი სიყვარული, რომელიც თქვენ თქვენის ჭეშმარიტის პედაგოგიური ნიჭით და ნამდვილის პედაგოგიურის განწყობილებით მოიპოვეთ თქვენ მსმენელ სტუდენტთაგან საერთოდ, თქვენს უმწიკვლო ხასიათთან ერთად — გამაღლებენ თქვენ მეცნიერების ტაძარში. ვეგებებით რა აღფრთოვანებით თქვენს ოცდა ათი წლის იუბილეის, გულწრფელად გილოცავთ მას და დამსახურებული პროფესორის ხარისხის მიღებას: გიძღვნით ჩვენს უგულითადეს მადლობას თქვენი დიდი ამაგისათვის; სულით და გულით ვეცდებით ავასრულოთ ჩვენი განზრახვა და უკვდავ ვყოთ თქვენი სახელი ოდესის უნივერსიტეტში თქვენს სახელზე სტიპენდიის დაარსებით, გისურვებთ რა მრავალ წელს ბედნიერ და ნაყოფიერ ცხოვრებას.

ადრესი იყო მოთავსებული ვერცხლის მონოგრამიან ლამაზ „პაპკაში“.

გ. შავდია

*) ნება მოგვეცით აქავე მადლობა გამოვუცხადოთ m-selle ფიშერს, რომელმაც უფასოდ დაგვითმო ოთახი და მასთანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო დღესასწაულში. ვ. შ.

# პროვინცია

**ზემო-იმერეთი.** ზემო-იმერეთში (შორაპნის მაზრა) ათიოდე წლის წინად სულ 10—12 ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობდა და ამოდენივე საეკკლესიო. დღეს კი მარტო სარაჯაულის საბოქაულოში, რომელიც მაზრის ერთი მეხუთედია და სულ ექვსი საზოგადოებისაგან შესდგება, ექვსი სამინისტრო სკოლა არსებობს და შვიდი საეკკლესიო. ამათგან ორი სამინისტრო სკოლა ხარაგაულისა და კიცხისა ამ რამოდენიმე წლის წინად გაორკლასიანდა. ხარაგაულის სკოლამ მაინც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანა ადგილობრივ მცხოვრებლებს, ვინაიდან აქ ნასწავლი შეგირდები ადვილად გადადიან სწავლის გასაგრძელებლად სამასწავლებლო სემინარიებში. მაგალითად, მარტო წელს ხუთი ამ სკოლის შეგირდი სახელმწიფო ხარჯით მიღებულ იქმნა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, მაგრამ ერთი და ორი ორ-კლასიანი სკოლა, რაც უნდა კარგ ნიადაგზე იყვნენ დაყენებული, მაინც ვერ დააკმაყოფილებს ამოდენა საბოქაულოს მოთხოვნილებას ამის მიხედვით ადგილობრივმა ბოქაულმა ბ-ნმა ი. ლოლობერიძემ შეაგონა ხალხს და განაჩენი დაადგენინა ხუნევისა, ამაშუკეთისა და ბეჟათუბნის ერთკლასიან სამინისტრო სკოლების გაორკლასიანე-

ბის შესახებ. ხუნევის და ბეჟათუბნის საზოგადოებებში სკოლების გაორკლასიანებას არაფერი ხელს არ უშლის; მაგრამ ამაშუკეთის სკოლის გაორკლასიანების საქმე კი ჯერ დაბოლოვებულად არ ჩაითვლება; ეხლანდელი ამაშუკეთის სკოლა და მასთან საცდელი სამმართველოც ერთობ უხერხულ ადგილას არიან, ასე რომ სკოლით სარგებლობს მარტო ორმა ტარა სოფელს— უ ისსა და მაქათუბანს—შეუძლიან და დანარჩენი ხუთი-ექვსი სოფელი კი, აგერ ოცდა ათი წელიწადი გადის, ტყუილად იხდიან სკოლის ხარჯს. ამ გარემოებასაც ყურადღება მიაქცია ბ-ნმა დოდობერიძემ; მისის წინადადებით საზოგადოებამ აირჩია ცხრა კაცი მომავალი ორ-კლასიანი სკოლისათვის დამარჯვებული ადგილის გამოსაძებნად. ეს კაცები მინდობილების შესრულებას შეუდგებიან, როდესაც სკოლის გაორკლასიანების შესახებ დადგენილი განაჩენი უმაღლესი მთავრობისაგან იქნება დამტკიცებული, მაგრამ ისე სიტყვით დღესაც რამოდენიმე ადგილს ასახელებენ სკოლისათვის. ამათგან ერთი, სახელდობრ: «მარიამ წყარო» როგორც მდებარეობით, ისე საზოგადოების მკვიდრთა უმრავლესობისათვის შესაფერი იქნება მომავალ ორ-კლასიანი სკოლისათვის. იგი მდებარეობს სოფ. ამაშუკეთსა და დორეშას შუა და ნამდვილი შუაგული მთელი საზოგადოებისა. ამ ადგილზე გადის ხარაგაულიდან მომავალი გზატკეცილი; იქვეა შესანიშნავი წყარო, რომელსაც სახელად «მარიამ წყაროს»-ს ეძახიან და ამ წყაროს სახელი მთელი იმ მიდამოსაც დარქმევია ხალხის თქმულებით, ერთ დროს ამ ადგილზე მარიამ ქალწულს გადაუვლია. ღვთის დედას მეტად მოსწონებია ამ ადგილის მომხიბლავი მდებარეობა და მშვენიერი წყარო, რომელთანაც ჩრდილ ქვეშ დაუსვენია და წყალიც კი დაულევია. ამ ადგილში იმოვება მშვენიერი საშენებელი ქვა და სილა; აქე ან სულ ორი ვერსის მანძილზე არის სახელმწიფო მთა, საიდანაც ადვილად შეიძლება მოტანა ყოველივე საჭირო საშენებელი მასალისა და შეშის.

ი. ბელიაშვილი

# სასამართლო

ამ ორი წლის წინად ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის, სოფელ კირცხის მცხოვრებთ ლევან გლახუას ძე ჯალაგონიას და ნიკოლოოზ მებონიას გაუცვნიათ ს. ცხენის წყალში ედუკია პაპავასი და ორივეს ცოლად მოუნდომებიათ. ედუკია პაპავას ნიკოლოოზ მებონია ამოურჩევია და კიდეც გაჰყოლია. ჯვარის დაწერის შემდეგ მებონიას, რადგანაც შეუტყვია, რომ ჯალაგონია მას კარგს დღეს არ დააყენებდა, მიუყვანია მამასახლისთან და ხელ-წერილი ჩამოურთმევია, რომ ჯალაგონია როგორც მას, აგრეთვე მის სახლობას არავითარს ვნებას არ მიაყენებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯალაგონია მისულა მებონიასას ედუკიაზე დაქორწინების მისალოცავად, რომლის შემდეგაც ეზოში გაუმართავთ რევოლვერებით ნიშანში სროლა. იმ დროს, როდესაც ამ საქმის ერთი მოწამეთაგანი მექია კორდავა მისულა ლობეზე ნიშნის მაგივრად ჩოხის ჩამოსაკიდებლად, ჯალაგონიას ამოუღია რევოლვერი და ამ სიტყვებით: „შენ ამისი ღირსი ხარო“ დაუმიზნებია ნიკოლოოზ მებონიასათვის, მაგრამ ერთხელ რევოლვერი არ გავარდნილა, მებონიას ეს დრო მოუხელებია და გაქცეულა, ჯალაგონია გამოჰკიდებია და დაუხლია ტყვია ზურგში მებონიასათვის, რომელ ჭრილობისაგანაც იგი მეორე დღესვე გარდაცვლილა. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს. საქმის გარჩევის დროს ბრალდებულ ჯალაგონიას განუცხადებია, რომ ამ საქმეში მე არავითარი განზრახვითი ბრალი არ მიმიძღვის, უცაბედათ რევოლვერი გამივარდა და დაიჭრა ჩემ გვერდით მდგომი მებონიაო. მოწმებს თავიანთი ჩვენება სასამართლოში საქმის გარჩევის დროს შეუცვლიათ და განუცხადებიათ, რომ ჯალაგონიასაგან გასროლილი ტყვია მებონიას უცაბედად მოხვედრია. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ლევან ჯალაგონია და გარდაუწყვეტია ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და ხუთის წლითა და ოთხი თვით კატორღაში გაგზავნა. ჯალაგონიამ ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივრა ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში, სადაც განხილულ იქმნა ეს საქმე სამშაბათს 19 დეკემბერს. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ჯალაგონია და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 იანვარი*)

**პეტერბურგი.** 10 იანვარს მობრძანდნენ მოსკოვიდან პეტერბურგს დიდი ჰერცოგინა ჰესსენისა და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორის ასული.

10 იანვარს დედოფალი მარიამი თეოდორეს ასული უავგუსტოესის ქალიშვილით მიბრძანდა დიდი ბრიტანიის საელჩოში დედოფალ ვიქტორიის გარდაცვალების გამო. საელჩოში იყვნენ აგრეთვე დიდი მთავრები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ანდრია ვლადიმერის ძე, ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, მიხეილ ნიკოლოოზის ძე, სერგი მიხეილის ძე და პრინცი პეტრეს ძე ოლდენბურგსკი.

უმაღლესად ებოძათ მის უდიდებულესობის სოლისტების ხარისხი ოპერის არტისტებს კამენსკაიას და დოლინას და ბალეტის არტისტს გერდტს; დამსახურებულ არტისტების ხარისხი ოპერის არტისტს სტრავინსკის და დრამატიული დასის არტისტს ვარლამოვს.

**ლონდონი.** დედოფალი დაკრძალულ იქნება სამეფო მავზოლეიში ფროგმორში თავის მეუღლის გვერდით. მეფე ლონდონში მისვლის შემდეგ პირველად მიბრძანდება მალბოროლაუზში, შემდეგ კი სენჯემის სასახლეში, სადაც 2 საათზე შეგროვდება საიდუმლო რჩევა ლორდ მერისა და და შერიფების დასწრებით; სხდომის შემდეგ მეფე წავა ლორდთა პალატაში პარლამენტის სხდომაზე. მეტი ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილი, სანამ მეფის ბძანება არ მოვა.

კოუსიდან იტყობინებიან რომ დედოფლის გვამის თაყვანის საცემლად ხალხს არ გაუშვებენ არც ოსბორანში არც ვინძორში. ეხლა გვამი ასვენია ოსბორნში სასადილო ოთახში, რომელიც მოწყობილია სამგლოვიაროთ; დღეს სასახლის მსახურებს ნებას მისცემენ თაყვანი სცენ გვამს. კუბოს ალბად ხვალ საღამოს გაასვენებენ ვინძორში; დაკრძალვა ალბად მალე არ მოხდება. მრავალი სამძიმრის დეპეშებია მიღებული. მეფესა და იორკის ჰერცოგს დღეს საღამოს მოელიან ისევ ოსბორნში. დილის 10 საათზე მეფე, ჰერცოგები კონნაუტისა და იორკისა, ბალფური და გრაფი კლარენდონი გემი „ალბერტონით“ წავიდნენ პორტსმუტში. როდესაც მეფე ავიდა გემზე, აღმართულ იქმნა სამეფო შტანდარტი. „ალო ბერტიდან“ მახლობელ გემებს ანიშნეს, რომ სალამი არ მისცენ. ნაშუადღევის პირველ საათზე ისინი მივიდნენ სადგურ ვიქტორიაზე; ყველანი სამოქალაქო ტანისამოსით იყვნენ. სადგურზე არ მოხდა საგანგებო დახვედრა. მეფე ცოტა ფერმკრთალია, მაგრამ ჯან მრთელადა ბრძანდება; ის უამალოდ წავიდა მალბოროლაუზში დახურული ეტლით; ეტლიდან თავს უკრავდა ხალხს, რომელიც მდუმარედ ქუდს უხდიდა.

**პარიზი.** გაზეთები ერთხმად აღიარებენ დედოფლის გარდაცვალებას დიდ მოვლენად. „მატენ“-ი ამბობს, რომ ბისმარკის სიკვდილი უმნიშვნელო ამბავი იყო დედოფლის გარდაცვალების ამბავთან შედარებით. დედოფალმა მიიყვანა ინგლისი უმაღლეს დიდებისადმი. ტრანსვაალის ომს გაზეთები უსამართლო საქმედ სთვლიან და ამბობენ, რომ დაიწყო ინგლისის დიდების დაცემა და კითხულობენ, იქნება თუ არა ახალი მეფის მეფობა ისეთივე ბედნიერი, როგორც მისი დედისაო. გაზეთები წინასწარმეტყველობენ, რომ ბევრი ცვლილება მოხდება ინგლისის პოლიტიკაშიო.

**სოფია.** ივანჩევის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა; ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო პეტროვს.

**პეტერბურგი.** 9 იანვარს, ბირჟა. 5%-ნი გირავნობის ფურცლები ტფ. სათავ. აზნ. ბანკისა—92½ მყიდვ., 4½%-იანი—86¼ მყიდვ., 6%-ნი გირავნობის ფურცლები ქუთაისის ბანკისა 100 მყიდვ., 5%-ანი 92 ½ მყიდვ.

**პეტერბურგი.** „პროვიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია საერო განათლების სამინისტროს განცხადება კიევის წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში მომხდარ უწესოების შესახებ. შემდეგ გამოცხადებულია, რომ ამ უწესოების გამო საერო განათლების მინისტრმა წინადადება მისცა კიევის ოლქის მზრუნველს სამხედრო ბეგარა მიუსაჯოს იმ სტუდენტებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ 7 დეკემბრის კრებაში და რომელნიც გამორიცხულ იქნებიან უნივერსიტეტიდან უწესოების მოხდენის გამო. კანონის ძალით, შემდგარი საგანგებო კომისია საერო განათლების, სამხედრო, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენელთაგან 15 სხდომაზე განიხილა საქმე 11 დეკემბრიდან 31-მდე; ჩვენება ჩამოართვა ყველა სტუდენტებს, რომელნიც მოვიდნენ დაბარების თანახმად, მოისმინა წერილობითი ჩვენება იმ სტუდენტებისა, რომელნიც არ გამოცხადდნენ და, განიხილა რა თითოეულ სტუდენტის მოქმედება, ხმის უმეტესობით დაადგინა დამნაშავეთ იცნას ყველა ის სტუდენტები, რომელნიც ერივნენ 7 დეკემბრის კრებაში და მიუსაჯა იმათ უნივერსიტეტიდან გამორიცხვა და სამხედრო სამსახურში გაწვევა სხვა და სხვა ვადით: ა) 2 სტუდენტს—3 წლით, ბ) 5 სტუდენტს—2 წლით და გ) ყველა დანარჩენთ, მათ შორის 1 სხვა უნივერსიტეტის სტუდენტსაც, სულ 385 კაცს—1 წლით; ეს დადგენილობა წარუდგინა საერო განათლების მინისტრს. განიხილა რა წარმოდგენილი დოკუმენტები და ოქმები საგანგებო კომისიისა, საერო განათლების მინისტრმა დაადგინა შემდეგი საბოლოო გადაწყვეტილება: 1) საგანგებო კომისიის დადგენილება პირველ კატეგორიის 2 სტუდენტისა და მეორე კატეგორიისა 5 სტუდენტის შესახებ დამტკიცებულ იქმნეს; 2) საგანგებო კომისიის დადგენილება მეორე კატეგორიის 2 სტუდენტის შესახებ დამტკიცებულ იქმნეს; 3) საგანგებო კომისიის დადგენილება მესამე კატეგორიის 176 სტუდენტის შესახებ, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს 7 დეკემბრის უწესოებაში და რომელთაგან ბევრი წინადაც იყო შემჩნეული, დამტკიცესულ იქმნეს; 4) საგანგებო კომისიის დადგენილება მესამე კატეგორიის დანარჩენ 209 სტუდენტის შესახებ, რომელნიც მხოლოდ დაესწრნენ 7 დეკემბრის კრებას და რომელნიც წინად არ ყოფილან შემჩნეული, გაუქმებულ იქნეს; ამათ გამოეცხადოს საყვედური და ჩამოერთვათ ყოველგვარი შეღავათი უნივერსიტეტში წასვლის დროს და გაფრთხილებულ იქმნან, თუ რომ კიდევ მიიღეს მონაწილეობა რაიმე უწესოებაში, ეხლანდელი მათი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ჩაეთვლებაო.

შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს: „პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი, რომელიც [illegible] უმაღ[ლესი] ბრძანებით გაიგზავნა რუსეთის სამხრ[ეთ]-[აღ]მოსავლეთის გუბერნიებში, იტყო[ბინება] შემდეგს: სოფ. [illegible] მას მდევ, რაც [illegible] შემოჰხსნეს. დაბა ალოვკის ახლო [illegible] ფელში, ალექსანდროვ-გაის სადგუ[რიდან] 40 ვერსტის სიშორეზე, სამარის გუბ[ერნიის] ნოვო-უზენის მაზრაში, კირგიზთა [illegible] დორში, 9 დეკემბრიდან 27-მდ[ე] [illegible] კაცი გახდა ავად, რომელთაგან [illegible] გარდაიცვალა. 4 იანვარს მისი უმაღლ[ესობა] წავიდა ცარიცინიდან ალექსანდრო[ვ-გაი]-ში და მაშინვე შეუდგა კირგიზთა [illegible] მო სოფლების ტეკბეკაის, ტუზბეკის [illegible] რეკის დაათვალიერებას. დარწმუნდა [illegible] რადად, რომ მცხოვრებნი მუყაითად [illegible] ლებენ დარაჯობის მოვალეობას და [illegible] ლის ნდობით უყურებენ ყველა მიღ[ებულ] ღონისძიებას, მისმა უმაღლესობამ გაგ[ზავნა] სენით მოდებულ ადგილებში დამატ[ებითი] რაზმი ექიმებისა და წამლები. ტეზბეკ[ის] ტუმეკში და მერეკში ავადმყოფობა [illegible] მძვინვარებს. 6 იანვარს კიდევ გახდა [ავად] 3 კაცი, რომელნიც უკვე გარდაიცვა[ლნენ]. პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე [illegible] წავიდეს სოფ. კარაკუგში, სლამისანის [illegible] გურის ახლო, თუმცა 3 იანვრიდან [illegible] არავინ გამხდარა ავად და თუმცა 7 [illegible] მეტი იქ სენს არ უმსხვერპლია. [illegible] ამისა მისმა უმაღლესობამ საჭიროდ და[ინახა] დაწვრილებით დაათვალიეროს სანიტ[არუ]-ლის მხრით კირგიზთა მინდორი, ვო[ლგის] შესართავი და კასპიის ზღვის ჩრდილო[ეთის] ნაპირი.

რედაქტორი ალ. ჯუღელი.
გამომცემელი ალ. ჯაბადარ[ი]

## სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატის [პირ]-ველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში სახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

13 იანვარს

მიხეილ ონიანისა, რომელსაც კაცის [კვლა] ედება ბრალად.

დიმიტრი მურადხანაშვილისა, რომელსაც [illegible] ქციზო წესდების დარღვევა ჰბრალდება.

სიმონ გურეშიძისა, რომელსაც კაცის [მოკ]-ვლის განზრახვა ჰბრალდება.

ხახახა თორბაიასი, კაცის მოკვლის განზ[რახ]-ვა ედება ბრალად.

ანტონ ქიტუაშვილი, კაცის დაჭრის ბრ[ალი] ედება.

ერმილე კოჩიაშვილისა, რომელსაც ნაძ[არ]-ცვი არაყის გამოხდა ედება ბრალად.

ვასილ ფილიშვილისა, რომელსაც კაცის [მო]-კვლის განზრახვა ედება ბრალად.

16 იანვარს

დიმიტრი გვასარიასი, რომელსაც კაცის [კვლა] ედება ბრალად.

ლუკა მასურაძისა, რომელსაც სასჯელით [illegible] ბულების მე 1480 მუხ. აღნიშნული ბრ[ალი] ედება.

სტეფანე ნიკოლაიშვილისა, რომელსაც ს[ა]-ლბის ჩადება ჰბრალდება.

ტაგუა ცხვედაძისი, რომელსაც მკვლელო[ბის] ჩადენა ჰბრალდება.

20 იანვარს

ალექსი გულიტაშვილისა, რომელსაც კა[ცის] მოკვლა ედება ბრალად.

მიხეილ აბესაძისა, გიორგი თათულაშვილი-სა, ლაზარე ჩლაჩეიშვილისა და ივანე დათუ-შვილისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ედე[ბათ] ბრალად.

*) დაგვიანებულია ტელეგრაფის გაფუჭების გამო.

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 Января 1901 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.